



საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის



ბრძანება №773

2017 წლის 08 ივნისი

საქართველო, ქალაქი რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 21 სექტემბრის N1552 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და 61 მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად

მ ბ ბ ა ნ ე ბ ა

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 21 სექტემბრის N1552 ბრძანების მეორე პუნქტით დამტკიცებულ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებაში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;
2. ბრძანება ძალაშია 2017 წლის 01 ივლისიდან;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. (მის: ქ. რუსთავი, ზოსტან-ქალაქის ქ. N6).

ქალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტის მერი



დავით ჯიქია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო
მრჩეველთა საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში - საბჭო) წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „აღვილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად. საბჭო უშუალოდ ექვემდებარება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.
2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მუშარამე ოურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის თითოეული ადმინისტრაციული ერთეულიდან არჩეული ორი წარმომადგენელი).
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს მდივნისა და საბჭოს წევრებისგან.

მუხლი 3. საბჭოს ფუნქციები

1. საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება მერის მიერ წარდგენილი:
 - ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;
 - ბ) მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტაციის განხილვა;
 - გ) მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებების წარდგენა;
 - დ) სხვადასხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების, ინფრასტრუქტურული, სოციალური და კულტურული ღონისძიებების განხილვა;
 - ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის კომპეტენციას მიეკუთვნებული ცალკეულ საკითხთა შესწავლა და მერისათვის შესაბამისი წინადადებებისა და მოსაზრებების წარმოდგენა.
2. საბჭო მონაწილეობს იღებს მუნიციპალური ბიუჯეტის შემუშავებაში და ხარვეზით პრიორიტეტების განსაზღვრაში;
3. საჯარო შეხვედრებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს ხარვეზით პრიორიტეტების საბოლოო სიაზე;
4. განიხილავს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს და რეკომენდაციებს წარუდგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს;
5. განიხილავს მუნიციპალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;
6. შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალური ბიუჯეტის შესრულებისა და მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობის წესი

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ;
2. საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად განიხილონ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები და მიღებული წინადადებები ან/და რეკომენდაციები წარადგინონ საბჭოს სხდომაზე;
3. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.
4. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით.
5. საბჭოს მიერ მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მერს, იმ წევრებს რომლებსაც ექნებათ გამსხვავებული მოსაზრებები შემუშავებულ მოსაზრებებთან ან/და რეკომენდაციებთან დაკავშირებით უფლება აქვთ მერს წარუდგინონ ალტერნატიული მოსაზრებები ან/და რეკომენდაციები, რომელიც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.
6. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი ქვეყნდება საჯაროდ (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე - www.rustavi.gov.ge)

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობასა და დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხი, განისაზღვრება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.